პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 76 (5366)

1975 წ. 17 აპრილი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რაზმში მხოლოდ კაცები არიან

„განთიადის" წყალტუბოს რაიონულ კონფერენციაზე რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. ზვიადაძემ თავის საანგარიშო მოხსენებაში მოწინავეთა შორის დაასახელა გუმბრინის სამთო-მაშველი რაზმის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელსაც ბ. მელაძე ხელმძღვანელობს. ჩვენ დავინტერესდით ამ ორგანიზაციის მუშაობით და ვეწვიეთ მას.

...„განთიადის" რაიონული სპარტაკიადის პროგრამით დამთავრდა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. გუმბრინის სამთო-მაშველი რაზმის წარმომადგენლებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და ჩემპიონობა მოიხვეჭეს.

მერე ჩემპიონებმა მაგიდის ჩოგბურთელთა ფორმები გაიხადეს, ფეხბურთელთა მაისურები გადაიცვეს, ფეხზე ბუცები მოირგეს და მინდვრისკენ გასწიეს, სადაც მეტოქეები ელოდნენ ფინალურ მატჩში შესახვედრად. ეს შეჯიბრებაც გუმბრინის სამთო-მაშველი რაზმის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის შესახებ, თუ გუმბრინელებმა ამ ასპარეზობაში რამდენჯერ იზეიმეს გამარჯვება, მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ ამ კოლექტივის წარმომადგენლები კიდევ ბევრჯერ გამოვიდნენ სარბიელზე.

— კი მაგრამ, გუმბრინის სამთო-მაშველ რაზმში სულ 30 კაცი მუშაობს, ამდენ სპორტსმენს როგორ მოუყარეს თავი? — იკითხავს საქმეში ჩაუხედავი კაცი.

იკითხავს და ცამდე მართალიც იქნება. მაშველ რაზმში მართლაც 30 კაცი მუშაობს და უსპორტოდ ცხოვრება ვერც ერთს ვერ წარმოუდგენია.

კოლექტივში შექმნილია კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთისა და სხვა სახეობათა ჯგუფები. ყოველი გუმბრინელი ოთხ-ხუთ სახეობაში მეცადინეობს და ამდენივეში იცავს თავისი კოლექტივის სპორტულ სახელს სხვადასხვა შეჯიბრებაში.

როცა ფიზკულტურის კოლექტივის ხელმძღვანელს ბ. მელაძეს ვთხოვეთ შრომასა და სპორტში მოწინავენი დაესახელებინა, მან სიამოვნებით შეასრულა ჩვენი თხოვნა და ჩამოთვალა: სპორტის ოსტატი სამბოში თ. ქალდანი, ძალოსანი ჯ. გველესიანი, ფეხბურთელები რ. ჩიხლაძე, ვ. ზვიადაძე, გ. გლოველი...

კოლექტივის წარმატებას ისიც უწყობს ხელს, რომ ორგანიზაციის თავკაცი გ. ლოსაბერიძე სპორტის დიდი ენთუზიასტია.

კონფერენციაზე ამიტომ მოიხსენიეს ქებით გუმბრინელი სპორტსმენები, რომლებმაც შარშანდელ სეზონში ბევრ რაიონულ პირველობაში ისახელეს თავი. მათ ყველას აჯობეს ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მეორე პრიზიორები იყვნენ ფრენბურთში, საპრიზო ადგილები დაიკავეს სპორტის სხვა სახეობებშიც.

„განთიადის" კონფერენციაზე ბევრი ორგანიზაცია გააკრიტიკეს იმის გამო, რომ რაიონში სუსტადაა დანერგილი ქალთა სპორტი. ქალთა შეჯიბრებებში არც გუმბრინის სამთო-მაშველი რაზმის წარმომადგენლები მონაწილეობენ. რას იზამ, ამ კოლექტივში ხომ მხოლოდ კაცები არიან.

**ზ. ჯაფარიძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**
წყალტუბო.

## საკდესი მოგვითხრობს

### ჩემპიონატი... დუზუმში

თურქმენეთის ჩემპიონატი დუზუმში მეორმოცედ ტარდება.

დუზუმი თურქმენთა უძველესი თამაშია. ისტორიკოსთა აზრით, იგი 1000 წელზე ნაკლები ხნისა არ იქნება. რალაც ნიშნებით დუზუმი რუსულ შაშს გვაგონებს.

ეს თამაში თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ შევიდა სპორტის ეროვნულ სახეობათა რიცხვში. შეჯიბრებები დუზუმში ძალიან პოპულარულია. მაგალითად, რესპუბლიკის წლევანდელი ჩემპიონატის ტურნირებში, რომლებიც სოფლებში, რაიონებსა და ოლქებში ჩატარდა, 15 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

აშხაბადი.

● ●

### „გრანულა" — ტურისტთა კლუბი

ვახშის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ტურისტული კლუბი „გრანულა", რომელიც ყველაზე დიდია ტაჯიკეთში.

ტურიზმმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი საწარმოში. კლუბის სექციები შექმნილია ყველა საამქროში და ქარხნის სამმართველოში. ამჟამად კლუბში ასზე მეტი ტურისტია გაერთიანებული. ქარხნის გუნდს არც ერთხელ არ დაუთმია პირველობა რესპუბლიკურ შეკრებებზე.

— კლუბის სამუშაო გეგმაში დიდი ადგილი ეთმობა მასობრივ ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს ამ სახეობაში მუშების მასობრივად ჩაბმას, — ამბობს კლუბის გამგეობის თავმჯდომარე, ელექტროშემდუღებელი ვ. კოლეჩკინი.

კალინინაბადი,
ტაჯიკეთის სსრ.



### ყოველი მეორე სპორტკლუბის წევრია

„ქარხნის ჯანმრთელობის საამქრო" — ეს სიტყვები აწერია ესტონეთის დაბა აზერის ერთ-ერთ ლამაზ შენობას, რომელიც კერამიკულ ქარხანას ეკუთვნის. საწარმოს ყოველი მეორე მუშა და მოსამსახურე სპორტკლუბის წევრია. ქარხნის ახალ სპორტის სასახლეს აქვს საცურაო აუზი, თამაშების დარბაზი, მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკის ოთახები.

სურათებზე: ჯანმრთელობის საამქრო; საცურაო აუზი; ასეთ დარბაზში მართლაც სასიამოვნოა კალათბურთის თამაში.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### „ოჯახური სარბიელი" ბრატსკში

სპორტკლუბ „ბრატსკის" მიერ მოწყობილ შეჯიბრებაში, რომელსაც „ოჯახური სარბიელი" ერქვა, ერთკილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა და თავის ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონის სახელი მოიპოვა ნორჩმა მოთხილამურემ ალიოშა ხორკოვმა, რომელსაც თებერვალში ოთხი წელი შეუსრულდება. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ბრატსკგესსტროის" მშენებელთა ოჯახები. ყველაზე უმცროს მონაწილეს უკვე გაეცანით, ხოლო ყველაზე უფროსი იყო 64 წლის შემდუღებელი ს. აფანასიევი.

გუნდურ (ოჯახურ) შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს (ჯგუფების მიხედვით) „ბრატსკგესსტროის" მთავარი მარკშაიდერის მოადგილის ნიკოლოზ პარიას (მეუღლე — განყოფილების უფროსის მოადგილე ანასტასია მიხეილის ასული და ვაჟი, IX კლასის მოსწავლე ალიოშა) და „ბრატსკჟელეზობეტონის" კომბინატის ელექტრიკოსის ვასილ კუდინკინის (მეუღლე — ასევე ელექტრიკოსი ალექსანდრა ნიკოლოზის ასული, ქალიშვილი — 17 წლის ირინა და ვაჟი — 14 წლის ანდრეი) ოჯახებმა.

შეჯიბრება ამიერიდან ტრადიციად იქცევა.

**მ. სოვენკო.**

ბრატსკი.

### სპორტული ოჯახი

აზერბაიჯანის VI სპარტაკიადის პროგრამით გამართულ ფინალურ შეჯიბრებაში მხატვრულ ტანვარჯიშში ოსტატობის კანდიდატთა შორის ყველას აჯობა ადილია მამედოვამ. ბაქოს 193-ე სკოლის VII კლასის მოსწავლე წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სპორტს, სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობას. აზერბაიჯანის ჩემპიონი, იგი ფრიადოსანი მოსწავლეცაა და პიონერთა რაზმსაც ხელმძღვანელობს.

სპორტის სიყვარული ადილიას მშობლებისგან გამოჰყვა. მამამისი ტურან მამედოვი სპორტსაზოგადოება „ნეფთჩის" თავმჯდომარეა. იგი თავის დროზე ფეხბურთელთა ამავე სახელწოდების გუნდის მცველი იყო. ადილიას დედა სვეტლანა ვასილის ასული, პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგი, რესპუბლიკის კალათბურთელთა ნაკრებში თამაშობდა, პაპა პირველთანრიგოსანი ჩოგბურთელი იყო. მამედოვების ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი, 7 წლის რუფატი მეორე წელია ცურვაში ვარჯიშობს.

ბაქო.

### „დელფინიდან" მასობრიობისკენ

„დელფინი" — ასე ჰქვია კალუგის ტურბინების ქარხნის ახალ სპორტულ კომპლექსს. ეს სახელი შემთხვევითი როდია. გარდა ტანვარჯიშის, ჭიდაობის, ძალოსნობის, ფრენბურთის და კალათბურთის დარბაზისა, აქ აგებულია 25-მეტრიანი საცურაო აუზი ექვსი ბილიკით.

მას შემდეგ, რაც ახალი კომპლექსი მწყობრში ჩადგა, ქარხანაში ფიზკულტურული მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. მუშაობა დაიწყო ჯანმრთელობის ჯგუფებმა და სექციებმა. გაიხსნა აკვალანგისტთა სექციაც.

ამ ბოლო ხანს ოკის პირას გაშლილი უძველესი რუსული ქალაქი კიდევ ბევრი სპორტული ბაზით გამდიდრდა. მაგალითად, გაიხსნა სპორტული დარბაზები ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ფილიალში. ამ ზამთარში 53-მეტრიან ტრამპლინზე ვარჯიში დაიწყეს „მფრინავმა მოთხილამურეებმა".

— ახლა ჩვენ გვაქვს 60 სპორტული დარბაზი, სტადიონი, აუზი, — გვიამბობს ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ე. მალახოვი. — მატერიალური ბაზის განმტკიცება ხელს უწყობს ფიზკულტურული მოძრაობის ფართოდ განვითარებას და სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას. მეათე ხუთწლედის პერსპექტიულ გეგმაში გათვალისწინებული გვაქვს ფიზკულტურელთა არმიის კიდევ უფრო გაზრდა. მათ რიგებში კალუგის ყოველი მესამე მცხოვრები უნდა ჩავაბათ. ერთ-ნახევარჯერ გავზრდით მსდ კომპლექსის ნიშნოსანთა და თანრიგოსან სპორტსმენთა რიცხვს.

**ნ. ალექსანდროვი.**

კალუგა.

● **მინსკი, 15 აპრილი.** აქ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მოფარიკავეთა ტურნირი. ესპადრონისტთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. კროვოპუსკოვმა. რაპირისტთა შორის ყველას აჯობა ლვოველმა ვ. სტანკოვიჩმა.

## ლას პალმასი-75

● **ლას-პალმასი, 16 აპრილი.** შვიდი ტურის შემდეგ აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მონაწილეთა რიცხვს ერთი კაცი მოაკლდა: დანიელი ბ. ლარსენი შეჯიბრებას გამოეთიშა ოჯახური მიზეზით. მისი მონაწილეობით ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები გაუქმებულია. ბრძოლას განაგრძობს 15 მოჭადრაკე და ის, ვისაც მორიგ ტურში ლარსენთან უნდა ეთამაშა, თავისუფალი იქნება. „დასვენების უფლება" პირველმა მიიღო ისლანდიელმა დიდოსტატმა ფ. ოლაფსონმა. VIII ტურში მ. ტალმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლ. ლიუბოევიჩთან (იუგოსლავია), ტ. პეტროსიანმა — ჯ. მეკინგთან (ბრაზილია). უ. ანდერსონმა (შვეცია) დაამარცხა ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია). ლიდერობენ ლიუბოევიჩი და მეკინგი, რომელთაც 6-6 ქულა აქვთ. 5,5 ქულა დაუგროვდა ტალს. პეტროსიანი ჯერჯერობით VII-IX ადგილებს იყოფს (3,5).

## ფეხბურთი '75

სსრ კავშირის ჩემპიონატი

### გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი — ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ლენინგრადის „ზენიტი". თამაში სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი მე-16 წუთზე გაიტანა მარკინმა.

„პახტაკორი" — „ლოკომოტივი" 2:2.

# ახდენილი ოცნებები

...გავიხსენოთ ბავშვობა. რამდენჯერ გვიოცნებია პატარა ბიჭობაში დიდი გმირობის ჩადენაზე, „გმირულ" პროფესიებზე, დიდების შარავანდედზე, ტრიუმფზე...

რა უფრო გვენატრებოდა: მეზღვაურობა? მესაზღვრეობა? ჩემპიონობა? სპორტის დამსახურებული ოსტატის სახელი? მედესანტეობა? — რა მიმზიდველი პერსპექტივები იყო!

ადამიანის ცხოვრება თითქოს ძალიან მოკლეა საიმისოდ, რომ ეროდროულად ამდენ მწვერვალს მიაღწიო. მაგრამ ხომ არის სასიამოვნო სიურპრიზები? მე ვიცნობ კაცს, რომელმაც ბევრი ოცნება შეისრულა, რომლის ბიოგრაფიაც მდიდარია გამარჯვებებით. ასეთი გახლავთ საქართველოს მკვიდრი, თბილისის მცხოვრები ერთი შესაშური ბედის ადამიანი..

* * *

ვალოდია სვეტილკოს ცხოვრება თანატოლების ცხოვრებისგან არაფრით გამოირჩეოდა. სკოლა, ალერსიანი, თბილი შავი ზღვა, ულამაზესი ბათუმის მთები, მხიარული თამაშობები, თევზაობა. შეიძლება სხვაზე ცოტა მეტად უყვარდა (და ალბათ ცოტა უფრო ადრეც შეუყვარდა) სპორტი — ცურვა, კოშკიდან ხტომა, წყალბურთი... მისთვის ყველაფერი მისაწვდომი და საინტერესო იყო.

1928 წელს ბათუმელმა ბიჭმა მოსკოვში პიონერთა და მოსწავლეთა I საკავშირო სპარტაკიადაში მიიღო მონაწილეობა. მისი საყვარელი დისტანცია 100 მეტრზე ცურვა იყო. ომის დაწყებამდე არავისთვის დაუთმია თავის ქალაქში ჩემპიონის წოდება.

ოთხი წლის შემდეგ ვალოდია საქართველოს ნაკრები გუნდის წევრია ცურვასა და წყალბურთში. 1935-1941 წლებში იგი ქვეყნის სასაზღვრო ჯარების ჩემპიონია წყალში ხტომასა და ცურვაში. 20 წლის ასაკში, უკვე სპორტის ოსტატი, მოხალისედ ჩაეწერა საზღვაო სასაზღვრო ნაწილში. აქ იგი დინამოელი გახდა.

ვლადიმერის არცთუ მაღალი, მაგრამ ათლეტური სხეული თითქოს საგანგებოდ სპორტისთვისაა შექმნილი. აბა დაუკვირდით: ამ წლებში იგი „დინამოს" და სასაზღვრო ჯარების ჩემპიონი იყო ტანვარჯიშში, 1938 წელს — სსრ კავშირის ჩემპიონი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში, საქართველოს ნაკრების გუნდის წევრი. 1940-41 წლებში სვეტილკო სპორტის ოსტატი გახდა ძალოსნობაში, ქვემსუბუქ წონაში. ახალი ამპლუა!

...ახლა, როცა წლები უკან დარჩა, სვეტილკო სიყვარულით იგონებს ომში დაღუპულ მწვრთნელს, მძლეოსანთა აღმზრდელს პ. კილაძეს, ძალოსანთა მწვრთნელს კ. პასიკოვს, გ. ეგნატაშვილს, რომელიც ტანმოვარჯიშეთა ოსტატობას ხვეწდა.

* * *

ომმა სვეტილკოს ბედი სატორპედო კატარღებთან დააკავშირა. თითქმის ოთხი წლის განმავლობაში იბრძოდა ახალგაზრდა ოფიცერი სევასტოპოლის სატორპედო კატარღების ნახიმოვის ორდენოსანი ბრიგადის შემადგენლობაში ნოვოროსიისკისა და ქერჩის მისადგომებთან, გადაჰყავდა დესანტი ბურგასში, ზღვით იღებდა კონსტანცას და ცეცხლის წვიმაში შედიოდა ოდესაში, მეჰქონდა საბრძოლო მასალა და კვლავ უვნებელი ბრუნდებოდა ბაზაში.

ომიდან ორი წითელი ვარსკვლავის ორდენითა და რვა მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. დაიღალა, ბევრი სიძნელე გადაიტანა მამაცმა მეზღვაურმა და მშვიდობიან დღეებში ისევ საყვარელი სპორტისკენ გაუწია გულმა. არც უფიქრია, არც უჭოჭმანია.

...1946 წელი. პარიზი. საბჭოთა სპორტსმენებიდან ძალოსნები პირველნი აღიარა საერთაშორისო ფედერაციამ, მისცა მსოფლიო და ევროპის პირველობებში მონაწილეობის უფლება. შედეგი საუცხოო იყო. მსუბუქი წონის სპორტსმენმა ვ. სვეტილკომ ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოში მეორე ძალოსნის სახელი მოიპოვა. ოქრო და ვერცხლი — ასეთი იყო გზის დასაწყისი.

მოკლედ ვიტყვით: ვლადიმერ სვეტილკო იყო სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი, იყო მსოფლიო რეკორდსმენი აჭიმვაში (ხარკოვი, 1950).

სვეტილკოს სპორტული კარიერის დასასრული ისევე ლამაზი იყო, როგორც მთელი მისი ცხოვრება. 1950 წელს მან ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მსოფლიო პირველობაში ბრინჯაოს მედალი მოიგო და სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა.

* * *

ერთმანეთს მიჰყვა საინტერესო დღეები ამიერკავკასიის ოლქის სასაზღვრო ჯარებში, მწვრთნელად მუშაობა „დინამოში" — თითქმის 1974 წლამდე.

...1958 წელს ოლქის სასაზღვრო ჯარების სარდლობის დავალების შესრულების დროს ვ. სვეტილკო საგანგებო ოპერატიულ ჯგუფს მეთაურობდა. ბევრი სირთულის გადალახვა მოუხდა, მაგრამ მაინც შეასრულა დავალება, რომელიც ჯაშუშების დაჭერას და უვნებელყოფას ითვალისწინებდა (ეს გმირობა ფართოდ იყო აღწერილი პრესაში). ამისთვის სვეტილკომ მიიღო მედალი „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დასაცავად წარჩინებით სამსახურისთვის". გავიდა ხანი და იგი კიდევ მეორე ასეთი მედლით დააჯილდოვეს.

ოლქის სასაზღვრო ჯარების ფიზმომზადების ყოფილი უფროსი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სვეტილკო ამჟამად ძალოსნობისა და ფარიკაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურ სკოლას ხელმძღვანელობს.

მასთან ხშირად დადიან სტუმრად პიონერები, რომლებიც სასკოლო მუზეუმებისთვის მასალებს აგროვებენ, მას ხშირად სწერენ წერილებს მეგობრები — მეზღვაურები და მესაზღვრეები. ვ. სვეტილკო სამოცი წლის კაცია, მაგრამ დღესაც უწინდებურად სწრაფია, სხარტი, მოძრავი, მოხდენილი აღნაგობისა. იგი დღესაც მხოლოდ გამარჯვებას ისახავს მიზნად ყოველ საქმეში, მუდამ მზადაა სიძნელეებთან საბრძოლველად.

...დავუბრუნდეთ წერილის დასაწყისს. დაგვეთანხმებით, მართლაც შესაშური, საოცარი ბედის კაცი ყოფილა ვლადიმერ სვეტილკო. დაე იცოდნენ ახალგაზრდებმა: ყველა ოცნების ახდენა შეიძლება, ოღონდ საჭიროა ისეთი მამაცები, ისეთი შეუპოვრები და შრომისმოყვარენი ვიყოთ, როგორიცაა ვეტერანი ვლადიმერ სვეტილკო.

გ. კოვალიოვი.

# გამარჯვების დღეს მიეძღვნა

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კომკავშირის კომიტეტისა და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს ერთობლივი ღონისძიებით მოეწყო ფეხბურთელთა გათამაშება, რომელიც მიეძღვნა ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საყოფაცხოვრებო საგნების დამამზადებელი და შემკეთებელ-მექანიკური საამქროების გუნდები. გადამწყვეტ მატჩში წარმატება და მასთან ერთად თასიც წილად ხვდათ საყოფაცხოვრებო საგნების დამამზადებელი საამქროს ფეხბურთელებს.

ტურნირში დაწესებული იყო ცალკეული პრიზები საუკეთესო ფეხბურთელთათვის. ისინი გადაეცათ რ. ჯელიას, გ. გურეშიძეს და ლ. ჩხეიძეს.

გ. დოგორჯგინიძე.

ქუთაისი.

# თქვენ რას იტყოდით?



**ბარათი გორიდან: გვწერს სპორტის ოსტატი გიორგი თედიაშვილი: „1967 წლიდან ვვარჯიშობ თავისუფალ ჭიდაობაში, ვარ საქართველოს პირველობების პრიზიორი. გამოვდივარ საკავშირო შეჯიბრებებში. ვსწავლობ გორის მუშა-ახალგაზრდობის № 2 სკოლის XI კლასში. ოჯახური პირობების გამო ვმუშაობ საკონსერვო ქარხანაში მუშად.**

**ამ ბოლო ხანებში ქარხნის დირექტორი სასტიკი წინააღმდეგია სპორტულ შეჯიბრებებში ჩემი გამოსვლისა. მაგალითად, 1974 წლის ნოემბერში დირექტორმა უარი მითხრა შეჯიბრებებში მონაწილეობის გამო გაცდენილი დღეების ხელფასის ანაზღაურებაზე.**

**გთხოვთ გამარკვიოთ, მაქვს თუ არა უფლება მონაწილეობა მივიღო სპორტულ ასპარეზობებში და, თუ მაქვს, რატომ მექცევიან ასე?"**

დამაფიქრებელი ფაქტია. ერთი შეხედვით თითქოს არაპრობლემურ საკითხთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, რამდენიმე საგაზეთო სტრიქონითაც შეიძლებოდა პასუხი გაგვეცა გ. თედიაშვილისთვის, მაგრამ შემთხვევა სრულიადაც არაა კონკრეტული. სპორტული შეჯიბრებები, მართალია, ფიზკულტურული კოლექტივებისთვის, როგორც წესი, არასამუშაო დღეებში ან სამუშაოს შემდეგ უნდა ტარდებოდეს, მაგრამ ეს მხოლოდ მასობრივი სპორტის მოყვარულებს აძლევს ხელს. შეკრებაზე თუ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მაღალი კლასის სპორტსმენთა მივლინების დროს სამსახურიდან მათი ხელფასის შენახვით გათავისუფლების საკითხი მუდამ როდი გვარდება უდავიდარაბოდ. ამის თაობაზე არაერთხელ გვსმენია საყვედური. როგორც ჩანს, ეს საკითხი სულ-უფრო ზოგადი ხდება და, ამდენად, ღირს კიდეც მასზე დაფიქრება.

...სპორტში პირველი ნაბიჯი ვინმეს მიბაძვა, რჩევა, ანდა, არცთუ იშვიათად, შემთხვევითი მოვლენაა. თავიდან ყველაფერი სიზმარს ჰგავს. დისციპლინას, რეჟიმს და შეუპოვარ შრომას ყველა როდი ეგუება. მხოლოდ მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდები შემორჩებიან ხოლმე დიდ სპორტს. მაგრამ ეს გზა, არ დაგავიწყდეთ, ია-ვარდით არაა მოფენილი. წარმატების მიღწევა, მით უმეტეს, ჭიდაობაში ძნელია, ვინაიდან ყველა ქართველ კაცს დაბადებითვე დაჰყოლია ამ სახეობის სიყვარული. გ. თედიაშვილი სპორტის ოსტატია და, მაშასადამე, ძნელი გზაც გაუვლია. იგი ზოგიერთივით განებივრებული არ ყოფილა ცხოვრების ყველა სიკეთით. სპორტი სპორტად, მაგრამ სწავლა, ოჯახი? თედიაშვილს სწავლა არ შეუწყვეტია, თავი არც სპორტისთვის დაუნებებია, როცა მუშაობა დაიწყო. მიზნის უშეცდომოდ არჩევაში სპორტი დაეხმარა ყმაწვილკაცს.

ვინ იცის რამდენჯერ გვისურვებია სხვადასხვა ტრიბუნიდან სწავლაში, შრომაში და სპორტში წარმატებები ჩვენი ახალგაზრდობისთვის. მაგრამ „საქმე ყოველთვის როდია ისე ადვილი, როგორც სიტყვა". ამის აშკარა მაგალითია გ. თედიაშვილის ბიოგრაფია. თედიაშვილის დღის რეჟიმს რომ გავეცანი, პირდაპირ გაოცებული დავრჩი. დღე-ღამის 24 საათი სულ წუთობრითაა გამოანგარიშებული. მერე განა ყველამ იცის წუთის ფასი? მით უმეტეს ახალგაზრდობაში! გ. თედიაშვილის სამუშაო დღე დილაადრიან იწყება. შუადღემდე ასრულებს იგი მთელი დღის ნორმას, მერე კი სპორტულ დარბაზში მიეჩქარება. აქ მას მეგობრული კოლექტივი და შესანიშნავი აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ზაუტაშვილი ელიან. ზაუტაშვილი მარტო ჭიდაობის ილეთებს როდი ასწავლის შეგირდებს. ბევრი ჭაბუკი დაუყენებია ცხოვრების გზაზე.

მწვრთნელის ამ ქურაში იწრთობა გიორგი თედიაშვილი. მისი ცხოვრება ასე მოეწყო, ყველაფერი უნდა მოასწროს, რადგან არც ერთი საქმის სახვალიოდ გადადება არ შეიძლება. უჭირს, მაგრამ მაინც მტკიცედ მიაბიჯებს ერთხელ არჩეულ გზაზე.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს სპორტსმენს შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად სამსახურიდან არ ათავისუფლებენ, ანდა, ბრუნდება ასპარეზობიდან და უბოდიშოდ ეუბნებიან უარს ხელფასის ანაზღაურებაზე. თედიაშვილმა ბევრი იდავა, ვის არ მიმართა, მაგრამ ამაოდ. მერე ადგა და წერილი მოგვწერა. საგონებელში ჩავარდნილმა ერთი მრავლისმთქმელი ფრაზით დააბოლოვა გულისტკივილის გამოხატვა: „რატომ მექცევიან ასე?".

— რატომ ვექცევით ასე? იმიტომ, რომ მხარდაჭერა და დახმარება, რასაც ქარხნის სპორტსმენებისადმი ვიჩენდით, დარღვევად ჩაგვითვალეს, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა გ. ბექაურმა.

როცა შეკრებებზე და შეჯიბრებებზე იყო თედიაშვილი, ქარხნის ადმინისტრაცია საშუალო ხელფასს მუდამ უნარჩუნებდა. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვის" რევიზორმა ა. შიხაშვილმა ამ ფაქტზეც გაამახვილა ყურადღება. აქ თედიაშვილი, რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში, როცა იგი ქალაქის პროფკავშირული სპორტული საზოგადოებისა თუ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდა, ხელფასი, როგორც წესი, დაინტერესებულ ორგანიზაციასაც უნდა აენაზღაურებინა. ამ და კიდევ სხვა დარღვევებისთვის დირექტორმა საყვედური დაიმსახურა. ამ ადმინისტრაციულმა სასჯელმა ქარხნის თავკაცს განწყობილება შეუცვალა: სპორტსმენის გათავისუფლება ხელფასის შენარჩუნებით აღარ გამაგონოთო, —განაცხადა. იგი, როგორც ჩანს, სასჯელით ისეა დაშინებული, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში სპორტსმენთა საშუალო ხელფასით გათავისუფლების შესახებ სადირექტივო ორგანოების მიერ გამოტანილი დადგენილების შესასრულებლადაც ვერ გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯი.

აქვე არ შეიძლება მედლის მეორე მხარესაც არ შევეხოთ. სულაც არაა სხვა საკითხი თუნდაც ის, რომ სპორტსმენი გარკვეული ხანგრძლივობით ტოვებს სამუშაო ობიექტს. ვინ აანაზღაუროს მისი ყოველდღიური ნორმა, რომელმაც საერთო ჯამში შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს გეგმების შესრულება, ანდა ბოლოსდაბოლოს გავლენა იქონიოს საამქროს თუ უბნის პრემირების საკითხზე?

კოლექტივის ავტორიტეტისთვის გეგმის შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ თავისი გეგმა აქვს ფიზკულტურის კოლექტივსაც. საწარმოო გეგმები ადმინისტრაციის ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია, სპორტული გეგმები კი გერივითაა. ორგანიზაციულად ყველაფერი ლოგიკურია: მეორე უნდა ემსახურებოდეს პირველს. მაგრამ სპორტის ოსტატების მომზადების გეგმა? აქ ადმინისტრაციას პასუხს არავინ სთხოვს. ფიზკულტურის მუშაკებს კი დაუნდობლად კიცხავენ.

იქნებ ჯობდა წერილი აქ დაგვემთავრებინა, შეგვეწყვიტა საუბარი და საბოლოოდ მხოლოდ ერთი შეკითხვა დაგვესვა: არის კი მიზანშეწონილი, რომ საწარმოო კოლექტივებში მაღალი თანრიგების სპორტსმენი მზადდებოდეს? ეს პრობლემა ხომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების წინაშეც დგას...

დასასრულ კიდევ ერთი საკითხი: არის თუ არა მუშა სპორტსმენი კოლექტივში დაუმადლებელი და სრულუფლებიანი წევრი?

— თუ ვარ, რატომ მექცევიან ასე? — კითხულობს თედიაშვილი. და არა მარტო თედიაშვილი.

თქვენ რას იტყოდით?

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.

### სპორტის ტექნიკურ სახეობებს — ჩვენი ზრუნვა

# კორდოდრომიც რომ ჰქონდეთ...

რესპუბლიკის პერიფერიებში სპორტის ტექნიკური სახეობები შედარებით ნაკლებადაა დანერგილი. ამ მხრივ დიდად ვერც საჩხერის რაიონი დაიკვეხნის, მაგრამ აქ წარმატებით მუშაობს ავიამოდელისტთა სექცია, რომელსაც ენთუზიასტი ნ. გელბახიანი უდგას სათავეში. საჩხერის პიონერთა სასახლესთან არსებულმა ჯგუფმა რესპუბლიკურ პირველობებში რამდენიმეჯერ ისახელა თავი. კ. შუბითიძემ ამ ექვსი წლის წინათ სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა რაკეტების მოდელებით შეჯიბრებაში. მ. მუმლაძემ შარშან ფრუნზეში გამართული ასპარეზობა მოიგო. თვით სექციის ხელმძღვანელი, სპორტის ოსტატი ნ. გელბახიანი საქართველოს ნაკრები გუნდის წევრია. რეზინისძრავიანი მოდელებით ასპარეზობაში იგი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაშიც გამოსულა.

ახლა სექციის ოთხ ჯგუფში 60-მდე მოსწავლეა გაერთიანებული. განსაკუთრებით გამოირჩევიან მეექვსე კლასელი ნ. გულიაშვილი, მერვეკლასელი გ. თუშიშვილი, X კლასის მოსწავლე მ. კავთელაძე... ისინი რესპუბლიკური პირველობისთვის ემზადებიან.

საჩხერის პიონერთა სახლის ავიამოდელისტთა სექციის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, რაიონულ ცენტრში კორდოდრომიც რომ იყოს.

გ. ბარჯაძე,
სპორტის ოსტატი.

საჩხერე.

* * *

სურათზე: ჯგუფის წევრები, ძმები ნ. და კ. მაჭარაშვილები თვითმფრინავის მოდელს ასაფრენად ამზადებენ.

ავტორის ფოტო.

# კომბინატის ავტოდრომზე

დოსაათისა და კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტებმა ენგურქაღალდკომბინატის ავტოდრომზე ავტომრავალჭიდელთა პირველობა გამართეს. სარბიელზე 34 სპორტსმენი გამოვიდა.

სატვირთო ავტომანქანებით მრავალჭიდში გაიმარჯვა გ. ბულიამ — 106 საჯარიმო ქულა. II ადგილზეა ა. სიგუა — 143, III — თ. ჯაბუა (ყველა — ზუგდიდის საწარმოო კომბინატი).

მსუბუქი მანქანებით შეჯიბრება მოიგო ვ. ნაყოფიამ — 103. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ქ. გულედანი და გ. ფირცხალავა (ყველა — სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო).

ზ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

# იასპარეზეს სხვადასხვა კლასში

ბათუმში გაიმართა ავიამოდელისტთა საქალაქო შეჯიბრება. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა პიონერთა და მოსწავლეთა საოლქო სახლის ნაკრებმა, II ადგილზეა აჭარის პროფკავშირთა კულტურის საოლქო სახლის გუნდი, III — ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სახლის კოლექტივი.

სხვადასხვა კლასის თვითმფრინავების მოდელებით შეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ დ. დიასამიძე, რ. აბეტისიანი, ბ. ლოსევი და დ. იაზევი.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## ფეხბურთი '75

### სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

# 4 ქულა 4-დან!

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 15 აპრილი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 1:0 (0:0).

„ტორპედო“: გაბელია, კოსტავა, ჭოხონელიძე, ბერულავა, ფიფია, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, შელია (სულაქველიძე), ფესტვენიძე (შენგელია), ხერხაძე, გაბიჩვაძე (ბურკაძე).

„ურალმაში“: სობოლევი, შიშკინი, გოლუბკოვი, სანიკოვი, ვოიტენკო, კუტაშოვი, გურნეევი, კობალევი, ჟურავლიოვი, ხამადიევი, ოლხოვიკი.

მსაჯი ნ. ბრეევი (ჩერნოვცი).

დუბლიორები — 0:1.

წინა ტურში „ურალმაშმა“ ქულა აიღო კრასნოდარში და, ეტყობა, ქუთაისშიც ვარაუდობდა ასეთი შედეგის მოპოვებას. ამიტომ იგი საფუძვლიანად გაძლიერებული დაცვითი ხაზებით მოქმედებდა, ყოველნაირად ცდილობდა დაეცვა თავისი კარი და წინა ხაზზე მხოლოდ იშვიათი კონტრშეტევებით თამაშობდა. სტუმრები ახლოსაც იყვნენ მიზანთან, რომლის მისაღწევადაც 85 წუთის მანძილზე წარმატებით იბრძოდნენ...

ტორპედოელთა ამოცანა, ბუნებრივია, სრულიად საწინააღმდეგო იყო და, თუ ესოდენ საჭირო 2 ქულის მოპოვება ასე გაძნელდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უნაყოფოდ დაიკარგა სვერდლოვსკელთა კართან შექმნილი რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი.

ქუთაისელთა თამაშმა კვლავ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. გუნდის ცალკეული რგოლები დიდი მონდომებით, ენერგიულად იბრძვიან, ცდილობენ ტყუილად არ დაკარგონ ბურთი. გუნდში ოსტატური, მაღალკვალიფიციური თამაშით განსაკუთრებით გამოირჩევიან ხერხაძე და ოქროპირაშვილი, რომლებიც ტონს აძლევენ ახალგაზრდებს, ადუღაბებენ მათს თამაშს და გამარჯვებისკენ მიჰყავთ ისინი. უნდა აღვნიშნოთ, აგრეთვე, ბერულავას კარგი საბრძოლო თვისებები.

შეხვედრა დაიწყო იმით, რომ გაბიჩვაძისა და ხერხაძის მიერ მე-4 წუთზე გათამაშებული კომბინაციის შემდეგ სობოლევმა შეძლო ძალიან ძნელი ბურთის აღება, მაგრამ გავიდა რამდენიმე წუთი და უკვე გაბელიას მოუხდა ჟურავლიოვის ძლიერი დარტყმის მოგერიება. შემდგომში ტორპედოელებს რამდენიმეჯერ ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, ბურთის გატანა შეეძლო ჩახუნაშვილს, ჭოხონელიძეს, გაბიჩვაძეს, კვლავ ჩახუნაშვილს, ტაიმმა კი ისე განვლო, ანგარიში კვლავ არ ჩანდა.

კიდევ უფრო გაძლიერდა მასპინძელთა იერიშები შესვენების შემდეგ, გოლი კი არა და არ გადიოდა.

ბოლო 15 წუთის მანძილზე „ტორპედო“ განუწყვეტლივ შტურმზე გადავიდა, მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, როცა ხერხაძე მარჯვენა ფლანგზე დრიბლინგით გავიდა რამდენიმე მცველს შორის, კარის გასწვრივ ჩააწოდა და აქ ოქროპირაშვილმა მაღალი ნახტომით ეფექტური დარტყმით შეაგდო ბურთი ბადეში. ამ გოლმა მეორე გამარჯვება მოუტანა ქუთაისის „ტორპედოს“.

**შ. ნიჟარაძე.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ქაირათი“ (ალმაათა) — „დინამო“ (მინსკი) 2:2, „ალგა“ (ფრუნზე) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:2, „პამირი“ (დუშანბე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:2, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:1, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „რუბინი“ (ყაზანი) 0:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) „ზვეზდა“ (პერმი) 1:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ ორ. | 2 | 2 | 0 | 0 | 5—0 | 4 |
| „ტორპედო“ | 2 | 2 | 0 | 0 | 3—1 | 4 |
| „დინამო“ | 2 | 1 | 1 | 0 | 5—2 | 3 |
| „სპარტაკი“ ნ. | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 | 3 |
| „ქაირათი“ | 2 | 1 | 1 | 0 | 3—2 | 3 |
| „ყუბანი“ | 2 | 1 | 1 | 0 | 3—2 | 3 |
| „ტავრია“ | 1 | 1 | 0 | 0 | 4—1 | 2 |
| „მეტალურგი“ | 2 | 1 | 0 | 1 | 2—1 | 2 |
| „პამირი“ | 2 | 0 | 2 | 0 | 3—3 | 2 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 2 | 0 | 2 | 0 | 2—2 | 2 |
| „შინიკი“ | 2 | 0 | 2 | 0 | 2—2 | 2 |
| „ნეფთჩი“ | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „სპარტაკი“ ი.-ფ. | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 1 |
| „მეტალისტი“ | 1 | 0 | 1 | 0 | 0—0 | 1 |
| „ურალმაში“ | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | 1 |
| „რუბინი“ | 2 | 0 | 1 | 1 | 0—4 | 1 |
| „კუზბასი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 2—4 | 0 |
| „ნისტრუ“ | 1 | 0 | 0 | 1 | 1—4 | 0 |
| „ზვეზდა“ | 2 | 0 | 0 | 2 | 1—4 | 0 |
| „ალგა“ | 2 | 0 | 0 | 2 | 0—5 | 0 |

# მეგობრობას საზღვრები არა აქვს

რუსთავის № 3 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ვიეტნამელი ჭაბუკებიც სწავლობენ. ახლახან მათმა დიდმა ჯგუფმა პრაქტიკული მეცადინეობა დაიწყო მეტალურგიულ ქარხანაში. ახალგაზრდა ვიეტნამელები საწარმოო სწავლების გამოცდილი ოსტატების ხელმძღვანელობით ეუფლებიან მეტალურგიული მრეწველობის საიდუმლოებებს, მებრძმედის, მეფოლადის, მგლინავის, მეავტომატის რთულ საქმეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი თხაინგუენის პროვინციის მეტალურგიულ კომბინატში იმუშავებენ.

ამჟამად სასწავლებელში 100 ვიეტნამელი ჭაბუკი სწავლობს. პირველი ჯგუფი — 65 კაცი — შარშან გაემგზავრა სამშობლოში. მათ უკვე მიიღეს მეტალურგის დიპლომები. გაისად რუსთავში მეცადინეობას შეუდგება 160 ვიეტნამელი. სულ 1980 წლისთვის რუსთავის სასწავლებელი 500 მეტალურგს მოამზადებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის.

ახალგაზრდები გულმოდგინედ მეცადინეობენ, თავისუფალ დროს კი სპორტს უთმობენ, თამაშობენ, ჯანმრთელობას იკაჟებენ.

* * *

**სურათებზე:** ვიეტნამელები ჩან ლე ხუნგი და ამ დინ თხანგი ფეხბურთის თამაშის დროს; რუსთავის № 3 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები დავით ლობჟანიძე და ნგუენ დანგ ფუ (ცენტრში) თამაშის შემდეგ.

ფ. კრიმსკის ტექსტი და ფოტოები.

(საქინფორმი).

## ტექნიკუმებში უყვართ ქართული ჭიდაობა

# ესთეტიკური მხარეც დიდი საქმეა

ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჭიდაობა პოპულარულია ჩვენი რესპუბლიკის ტექნიკუმებში. ასეთ დასკვნამდე მიგვიყვანა ამას წინათ თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარებულმა ტექნიკუმების რესპუბლიკურმა პირველობამ.

შეჯიბრება კარგად და, რაც მთავარია, საზეიმოდ ჩატარდა. თბილისის სპორტის სასახლე ამის გარანტიას იძლევა მუდამ. აქ, როგორც წესი, სპორტსმენებიც უკეთ გრძნობენ თავს, მსაჯებიც და, რა თქმა უნდა, მაყურებლებიც. სპორტის სასახლეში შეკრებილი მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე ასპარეზობა თავისებური ზეიმია სპორტსმენისთვის. ჩვენ, სამწუხაროდ, ნაკლებად ვზრუნავთ შეჯიბრების ესთეტიკურ მხარეზე, არადა, ამ ფაქტორს ახალგაზრდა სპორტსმენის შეგნების ჩამოყალიბებაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. კარგი ორგანიზაცია, კარგი დახვედრა, ყურადღება და მზრუნველობა დიდხანს ამახსოვრდება ახალგაზრდას და ხშირად მის მომავალსაც განსაზღვრავს.

მაგრამ ამ შეჯიბრების ღირსება მხოლოდ ორგანიზაციული მოტივებით არ უნდა ავხსნათ. ასპარეზობამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაფართოვდა ქართული ჭიდაობის გეოგრაფია ტექნიკუმებში. ამ ტურნირში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ არა მარტო თბილისის (6 ტექნიკუმი), არამედ ქუთაისის (2 გუნდი), მახარაძის, საგარეჯოს, ფოთის, რუსთავის, კასპის, ქარელისა და ბორჯომის ფალავნები. ეს ალბათ ასპარეზობის მომწყობთა დამსახურებაცაა და იმ ენთუზიასტებისა, რომლებიც ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძვიან ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციისთვის.

გუნდური გამარჯვება ამ საინტერესო ტურნირში ქარელის ელექტრომექანიკური ტექნიკუმის ფალავნებმა მოიპოვეს. ესეც თავისებური სიურპრიზია. II და III ადგილებზე თბილისელი მოჭიდავეები გავიდნენ — პოლიტექნიკური და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმების წარმომადგენლები.

ბრძოლა ყოველ წონით კატეგორიაში დაძაბული იყო. მაგრამ ამ დაძაბულობამ გარკვეული დაღი დაასვა ფინალურ შეხვედრებს. საქმე ისაა, რომ პრეტენდენტებმა თითქმის ყველა წონაში ფინალამდე გაარკვიეს ურთიერთობა და გადამწყვეტ შეხვედრებში პასიურობდნენ. სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის, რომ რვა წონიდან ექვსში I-II ადგილებზე გასული ფალავნები ერთმანეთთან შეხვედრებში შეჯიბრებიდან მოიხსნენ. ამან, რა თქმა უნდა, ერთგვარად გაანელა ინტერესი გადამწყვეტი შერკინებებისადმი.

მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ორმხრივი წაგება ჩაუთვალათ თ. ბიჭიკაშვილსა და ს. ბერკაციშვილს (64 კგ), შ. ხაბარელსა და ე. ხუგაშვილს (68 კგ), ვ. კვიციანსა და ზ. ფიცხელაურს (73 კგ), მ. მოსიაშვილსა და გ. ყარაულაშვილს (79 კგ), ვ. შუბითიძესა და ე. წიკლაურს (87 კგ), ვ. მთიულიშვილსა და ე. დამადაევს (მძიმე).

მხოლოდ ე. კულუმბეგოვმა (56 კგ) და ა. მაღალაშვილმა (60 კგ) მოიგეს ჩემპიონობა, ასე ვთქვათ, წმინდად. განსაკუთრებით კარგად იასპარეზა მაღალაშვილმა, რომელმაც ხუთი შერკინება წმინდად მოიგო და ერთი — ქულებით.

გთავაზობთ საპრიზო ადგილებზე გასულთა სიას:

56 კგ. 1. ე. კულუმბეგოვი (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი, თბილისი), 2. რ. ტერტერაშვილი (სავაჭრო, თბილისი), 3. ა. მერმანიშვილი (მეტალურგიული, რუსთავი).

60 კგ. 1. ა. მაღალაშვილი (ინდუსტრიული, კასპი), 2. ზ. ხახუტაშვილი (სავაჭრო, თბილისი), 3. შ. ჩუკოშვილი (მანქანათმშენებლობის, თბილისი).

64 კგ. 1. თ. ბიჭიკაშვილი (სატყეო, ბორჯომი), 2. ს. ბერკაციშვილი (ელექტრომექანიკური, თბილისი), 3. ო. ზარდიაშვილი (პოლიტექნიკური, საგარეჯო).

68 კგ. 1. შ. ხაბარელი (ელექტრომექანიკური, ქარელი), 2. ა. ხაჩიძე (კავშირგაბმულობის, თბილისი), 3. ე. ხუგაშვილი (მანქანათმშენებლობის, თბილისი).

73 კგ. 1. ვ. კვიციანი (კავშირგაბმულობის, თბილისი), 2. ზ. ფიცხელაური (პოლიტექნიკური, თბილისი), 3. გ. გამგებელი (ელექტრომექანიკური, ქარელი).

79 კგ. 1. მ. მოსიაშვილი (პოლიტექნიკური, თბილისი), 2. გ. ყარაულაშვილი (ინდუსტრიული, თბილისი), 3. რ. თევდორაშვილი (ელექტრომექანიკური, ქარელი).

87 კგ. 1. ვ. შუბითიძე (მეტალურგიული, რუსთავი), 2. ე. წიკლაური (პოლიტექნიკური, თბილისი), 3. ხ. ქურხული (მანქანათმშენებლობის, თბილისი).

მძიმე. 1. ვ. მთიულიშვილი (პოლიტექნიკური, თბილისი), 2. ე. დამადაევი (ინდუსტრიული, თბილისი), 3. თ. დავითაშვილი (ელექტროტექნიკური, ქარელი).

**ც. ფცქიალაძე.**

# საპასუხისმგებლო მატჩები ჯერ წინაა

დიუსელდორფი, 15 აპრილი. „აისშტადიონზე“ დღესაც ორი მატჩი გაიმართა, მაგრამ ამ შეხვედრათაგან არც ერთს არ ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა — მსოფლიო ჩემპიონატის აშკარა ლიდერები ასევე აშკარად გამოხატულ აუტსაიდერებს ეთამაშებოდნენ.

პირველად ყინულის სარბიელზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ჩეხოსლოვაკიისა და აშშ-ს ნაკრები გუნდები. ამერიკელმა ჰოკეისტებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 0:8 (0:3, 0:3, 0:2), მე-6 წუთზე, როცა ჩეხოსლოვაკიელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, მცველ კაბერლეს დარტყმამ მიზანს მიაღწია და ანგარიშიც გაიხსნა. 3 წუთის შემდეგ მანვე მეორე გოლი გაიტანა, მე-14 წუთზე კი ე. ნოვაკმა უფრო გაზარდა ანგარიში.

ჩეხოსლოვაკიელებმა მარტინეცმა, კოხტამ და ბ. შტიასტნიმ მეორე პერიოდშიც სამი შაიბა გაიტანეს.

მესამე პერიოდის მე-7 წუთზე მცველმა კაიკლმა შორიდან უძლიერესი დარტყმით მეექვსე შაიბა შეაგდო მეტოქის კარში, ხოლო მე-13 წუთზე ე. ნოვაკმა — მეშვიდე.

ამ მატჩის შემდეგ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკელი ჰოკეისტები მეორე წრეს გაცილებით სუსტად ატარებენ, ვიდრე პირველს. ამას თუნდაც შემდეგი ციფრები მოწმობს: პირველი წრის პირველ სამ შეხვედრაში მათ მეტოქის კარში 12 შაიბა გაიტანეს და საკუთარში 25 მიიღეს, ხოლო მეორე წრის პირველ სამ შეხვედრაში იმავე გუნდებთან მხოლოდ 2 გოლი გაიტანეს და 30 მიიღეს. ახლა ამერიკელებს მოელით მთავარი მატჩი პოლონეთის გუნდის წინააღმდეგ, რომელიც ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს, 18 აპრილს გაიმართება.

დღეს კი პოლონელები საბჭოთა კავშირის გუნდს ხვდებოდნენ. ამ მატჩში დამყარდა მიმდინარე გათამაშების რეკორდი — საბჭოთა სპორტსმენებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 15:1 (3:0, 7:1, 5:0). ეს ანგარიში ნათლად მეტყველებს გამარჯვებული გუნდის უპირატესობაზე მთელი შეხვედრის მანძილზე. ამიტომ სჯობს ქრონოლოგიურად მივყვეთ თამაშის მსვლელობას.

ანგარიში ტიურინმა გახსნა, შემდეგ კი კაპუსტინმა ორჯერ აიღო მეტოქის კარი. ამასთან, მეორე გოლი მაშინ გაიტანა, როცა პოლონელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ (2 წუთით გაძევებული იყო ხარლამოვი). პირველი პერიოდი ასეც დამთავრდა.

მეორე პერიოდში გატანილ გოლებს თვლა აღარ ჰქონდა, თვალს ვერ მოასწრებდი, ისეთი სისწრაფით მიქროდა შაიბები პოლონელთა კარში. მე-3 წუთზე შალიმოვმა და მე-7 წუთზე ვიკულოვმა ხუთამდე გაზარდეს ანგარიში. შემდეგ ბრწყინვალედ ითამაშა საბჭოთა ნაკრების თავდამსხმელმა ხარლამოვმა. მან ჯერ მე-11 წუთზე თვითონ აიღო მეტოქის კარი, 2 წუთის შემდეგ კი მისი შესანიშნავი გადაცემით გოლი გაიტანა ვასილიევმა. გავიდა ზუსტად 11 წამი და, როგორც იქნა, პოლონელებმა შეძლეს ერთი საპასუხო შაიბის გატანა — იასკერსკიმ და რიბსკიმ კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ამ უკანასკნელმა გოლით დააგვირგვინა. მე-15 წუთზე ხარლამოვმა საშუალო მანძილიდან ულამაზესი დარტყმით გაზარდა ანგარიში. ორი გოლი გავიდა მე-18 წუთზე — პირველი ვიკულოვმა გაიტანა, მეორე კი — ფილიპოვმა.

მესამე პერიოდის დასაწყისში შადრინმა, მალცევმა და ისევ შადრინმა კიდევ უფრო დააწინაურეს თავიანთი გუნდი, ხოლო ფილიპოვმა (მე-13 წუთი) და შალიმოვმა (მე-20) სარეკორდო ანგარიშამდე მიიყვანეს საქმე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბ. კულაგინმა დღეს რამდენიმე უძლიერესი მოთამაშე დაასვენა, ვინაიდან გუნდს 17 აპრილს უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩი მოელის ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან. დღეს არ უთამაშიათ ტრეტიაკს, გუნდის კაპიტანს მიხაილოვს და წლევანდელი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირს იაკუშევს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 8 | 8 | 0 | 0 | 73:18 | 16 |
| ჩეხოსლოვაკია | 8 | 7 | 0 | 1 | 49:14 | 14 |
| შვეცია | 7 | 4 | 0 | 3 | 34:16 | 8 |
| ფინეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 29:27 | 6 |
| პოლონეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 12:72 | 2 |
| აშშ | 8 | 0 | 0 | 8 | 17:67 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართვე
1975
1

# „მართვემ" ფრენა დაიწყო

იგი მყარ ნიადაგზე აღმოცენდა, არწივის პატარა ბარტყის მოსახელე — „მართვე". სულ ახლახან, რამდენიმე დღის წინ აახილა თვალი და ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, აზრიანი მზერა მიაპყრო. თავისი კრედო მან სიცოცხლის პირველსავე დღეს ჩამოაყალიბა ასე: „დიდებული სიტყვაა მართვე! დაკვირვებიხარ, მკითხველო, რომ ბევრი ქართული სიტყვა თითქოს მღერის, თითქოს იმაზე დიდი და ღრმააზროვანი შინაარსის შემცველია, ვიდრე სინამდვილეში გვეჩვენება? მართვე — ეს სიტყვა ამაყად ჟღერს, რადგან არწივის ბარტყი იმთავითვე დიდი ფრენისთვისაა გაჩენილი. ჩვენი გამოცემისთვის მართვე შემთხვევით არ დაგვირქმევია. ფიზკულტურა და სპორტი ხომ უთვალავ მართვეს ბადებს და ამზადებს ფართო ასპარეზისთვის, სადაც ჩემპიონთა მედლებთან ერთად მოიპოვება ყველაზე დიდი საგანძური — ჯანმრთელობა".

მაშ ასე, დაიბადა ახალი სპორტული გამოცემა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სამსახურს და რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის „სკოლა და ცხოვრების" ყოველკვარტალურ დამატებას. გაკეთდა დიდი და სამშვილიშვილო საქმე — ჩვენი მომავალი თაობის სულიერ და ფიზიკურ აღზრდას სათავეში ჩაუდგა ბეჭდვითი ორგანო თავისი უსაზღვრო შესაძლებლობებით.

ყველა ახალი წამოწყების სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარუდგენს იგი თავის თავს ცხოვრებას. „მართვეს" მომავალზე დღეს შეიძლება მსჯელობა, ვინაიდან პირველმა ნომერმა უკვე იხილა მზის სინათლე.

ფიზიკური კულტურა და სპორტი იმდენად მტკიცედ არის დამკვიდრებული მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ ფაქტიურად ერთი მეორის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, მის განუყოფელ ნაწილს და, თუ გნებავთ, შინაარსსაც. კომუნიზმის მშენებელი თაობა უნდა იყოს ჯანსაღი ფიზიკურად და სულიერად — აი, ძირითადი პრობლემის თავი და თავი, მისი აზრი და კონცეფცია, რომელიც „მართვემ" თავისი პროგრამის ანბანად გამოაცხადა. ეს უკვე გამარჯვებაა! ეს, ამავე დროს, მიმართულებაცაა, რომელსაც გამოცემამ საძირკველი ჩაუყარა პირველსავე ნომერში. ყველა წერილი, პრობლემა თუ ინფორმაცია, მთავარი თემის ვარიაციას წარმოადგენს და, ვინაიდან ისინი საქმის ცოდნითა და სიყვარულითაა დაწერილი, თავიდანვე იტაცებს მკითხველს.

„მართვემ" დაიპყრო მკითხველი, „მართვემ" შეიქმნა აუდიტორია, „მართვემ" დაიწყო დიდი ცხოვრება. „მართვეს" ულოცავენ და მიესალმებიან ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები — მეცნიერები, პოეტები, სპორტსმენები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოღვაწენი.

„მართვე" ტრიბუნაა, საიდანაც ხმას გვაწვდიან ჩვენი სპორტის საუკეთესო წარმომადგენლები, გვესაუბრებიან გულახდილად და საქმიანად, აზრებს გვიზიარებენ, გვირჩევენ, გვეხმარებიან და გვახსენებენ, რომ ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა საზოგადოების უპირველესი მოვალეობაა.

ამ მიზნის განხორციელებას გამოცემა სხვადასხვა რუბრიკით და განყოფილებით აღწევს. ერთი მათგანი ეხება სპორტსმენის ადგილს სწავლაში, შრომასა და საზოგადოებრივ სარბიელზე (რუბრიკა: „ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული!"), მეორე — მწვრთნელისა და სპორტსმენის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემებს (განყოფილება — „ოსტატი და შეგირდი"), მესამე — ყველაზე პატარებთან მუშაობის საკითხებს (რუბრიკა — „ფიზიკური აღზრდა აკვნიდან"). არის რამდენიმე მეთოდური წერილი, ჩანახატი გამოჩენილ სპორტსმენებზე, ინტერვიუ, მასალები მმდ კომპლექსის როლსა და მნიშვნელობაზე, იუმორის გვერდი.

კარგად ილუსტრირებული, გემოვნებით გაფორმებული, შინაარსით მდიდარი გამოცემა მართლაც დიდი ფრენისთვისაა მოწოდებული. გულითა და სულით მივესალმებით მას და ვუსურვებთ ახალი სიმაღლეების დაპყრობას ძლევამოსილი საბჭოთა სპორტის უსაზღვრო ასპარეზზე.

**ნ. გუგუშვილი.**

# ეროვნული რეკორდებით...

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ საბჭოთა ძალოსანმა ვორონინმა (უმსუბუქესი წონა) მსოფლიო და საკავშირო რეკორდები დაამყარა მაისენში გამართულ შეჯიბრებაში „ცისფერი მახვილი", რომელშიც გდრ-ის, ირანის, უნგრეთის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების მოწინავე ძალოსნები მონაწილეობდნენ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვორონინის ასპარეზობას თვალს ადევნებდა ირანელი ნასირი, რომელიც ამჯერად უფრო მძიმე — მჩატე წონაში გამოდიოდა. მან ატაცში 105 კგ აჩვენა, მაგრამ შემდეგ ამაოდ შეეცადა 140 კგ აეკრა და შეჯიბრებას გამოეთიშა. გაიმარჯვა მავიუსმა (გდრ) — 227,5 კგ (100+127,5). ამ გერმანელმა ათლეტმა ევროპის იუნიორთა რეკორდი დაამყარა ატაცში — 105,5.

გდრ-ის ორი რეკორდი დაამყარა ზემძიმე წონის სპორტსმენმა ბონკმა: დამატებითს, მეოთხე ცდაზე მან 175 კგ აიტაცა და შემდეგ 235 კგ აკრა. ბონკი შემდეგ შეეცადა ალექსეევის მსოფლიო რეკორდი მოეხსნა აკვრაში და 244 კილოგრამს შეეჭიდა, მაგრამ ამაოდ. ორჭიდში მისი შედეგი — 405 კგ საკმაოდ მაღალია. ცხადია, აქ გამარჯვებაც ბონკს დარჩა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: ქვემსუბუქი. მალეკი — 252,5 (112,5+140); მსუბუქი. დეჰნავი (ორივე — ირანი) — 285 (125+160); ქვესაშუალო. ვენცელი (გდრ) — 322,5 (140+182,5); საშუალო. ანტალოვიჩი (უნგრეთი) — 325 (145+180); ქვემძიმე. პეცოლდი — 355 (160+195); მძიმე. ციცკე (ორივე — გდრ) — 367,5 (162,5+205).

## ინტერვიუ ტელეფონით

# გიპსლისიც დაწინაურდა

ვრნიაჩკა-ბანიის (იუგოსლავია) ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომელშიც ქალთა მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილიც მონაწილეობს, გუშინწინ VI ტური გათამაშდა. აი, რა უამბო მსოფლიო ჩემპიონმა „ლელოს" კორესპონდენტს, რომელიც მას ვრნიაჩკა-ბანიაში ტელეფონით დაუკავშირდა:

*VI ტურში ჩემმა მწვრთნელმა, რიგელმა დიდოსტატმა აივარ გიპსლისმა დაამარცხა იუგოსლაველი რაიჩევიჩი და 4 ქულით ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ამდენივე ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს იუგოსლაველ მარტინოვიჩს.*

*მე შევხვდი ბულგარელ დიდოსტატ გიორგი ტრინგოვს. ცხარე ბრძოლა ყაიმით დავამთავრე. კვლავ დამარცხდა ახალგაზრდა ბარლე (იუგოსლავია), რომელსაც რუმინელმა საერთაშორისო ოსტატმა ვიქტორ ჩოკილტიამ მოუგო. მარცხი იწვნია საერთაშორისო ოსტატმა კნეჟევიჩმა (იუგოსლავია) თანამემამულე ნიკოლიჩთან. სამაგიეროდ, საერთაშორისო ოსტატმა ოსტოიჩმა აჯობა ჯულიჩს (ორივე — იუგოსლავია). სამი პარტია გადაიდო.*

# მეექვსედ!

თბილისის ოფიცერთა სახლის საჭადრაკო კლუბში ორი კვირის დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა „განთიადის" მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური პირველობა. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის, რუსთავის, სამტრედიისა და გორის წარმომადგენლები — 10 ოსტატობის კანდიდატი და 4 პირველთანრიგოსანი.

თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა გ. კალატოზიშვილმა, რომელმაც 12 პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და „განთიადის" ჩემპიონის ტიტული მეექვსედ მოიპოვა. ამავე დროს მან ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვა.

10 ქულით II ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი რ. კაპანაძე. III-IV ადგილები 8,5-8,5 ქულით ოსტატობის კანდიდატებმა დ. ექვთიმიშვილმა და გ. სიხარულიძემ (ყველა — თბილისი) გაიყვეს. კოეფიციენტთა ცხრილით ექვთიმიშვილი III ადგილზეა.

8 ქულით V ადგილზე გავიდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორი, თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ზ. სტურუა.

**რ. თავარიანი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

# უძლიერესის სახელისთვის

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა XXXIV ჩემპიონატის ფინალი.

მონაწილენი სატურნირო ცხრილში წილისყრით ასე განლაგდნენ: 1. ოსტატობის კანდიდატი ს. კიკილაშვილი (თბილისი), 2. ოსტატობის კანდიდატი გ. ბიბილაშვილი (რუსთავი), 3. ოსტატი ი. ჩიქოვანი, 4. ოსტატი ა. ბოკუჩავა, 5. ოსტატობის კანდიდატი ზ. სტურუა (სამივე — თბილისი), 6. გ. მენაბდე (ქუთაისი), 7. ოსტატობის კანდიდატი გ. ცქიტიშვილი, 8. ოსტატი თ. ლომაია (ორივე — თბილისი), 9. გ. გოგიტიძე (ბათუმი), 10. საერთაშორისო ოსტატი მ. ჩიბურდანიძე, 11. ოსტატი ა. ბუსლაევი (ორივე — თბილისი), 12. ა. ჯობავა (გალი), 13. ოსტატი ა. ტუზოვსკი (სოხუმი), 14. ოსტატობის კანდიდატი დ. ექვთიმიშვილი, 15. ოსტატი ზ. მიქაძე, 16. ოსტატობის კანდიდატი ნ. ჩახოიანი, 17. ოსტატობის კანდიდატი დ. გედევანიშვილი (ყველა — თბილისი), 18. ქ. მზარელუა (წალენჯიხა).

## წიგნის თარო

# „ვიდრე ჭადრაკს მიუსხდებით"

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" „ლელოს" ბიბლიოთეკის სერიით გამოსცა თენგიზ გიორგაძის ახალი წიგნი „ვიდრე ჭადრაკს მიუსხდებით" (ტირაჟი 20 ათასი ცალი, გვ. 126, ფასი 13 კაპ).

შესავალში ავტორი წერს:

„ჭადრაკი საქართველოში დიდად არის გავრცელებული, მაგრამ ამ თამაშისა და შეჯიბრების წესების ძირითადი კანონი — „სსრ კავშირის საჭადრაკო კოდექსი" (მე-5 გამოცემა) ქართულ ენაზე მხოლოდ ორჯერ, 1949 და 1951 წლებში გამოიცა, ისიც მცირე ტირაჟით. მას შემდეგ, თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, საქართველოშიც შესამჩნევად გახშირდა დიდი და პატარა ტურნირები, გაიზარდა მოთხოვნები როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებისა და მსაჯების, ასევე მონაწილეთა მიმართაც. ამის გამო მეტისმეტად იგრძნობოდა წესების წიგნის უქონლობა.

ჩვენ ვცადეთ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გადმოგვეცა შეჯიბრების ორგანიზაციის, ხელმძღვანელობის, მასში მონაწილეობის საკითხები, აგრეთვე, თამაშის წესები, რომელნიც დამატებით განმარტებას საჭიროებენ. ამიტომ ამ წიგნს საფუძვლად უდევს კოდექსის მე-9 გამოცემა (მოსკოვი, 1969 წ.) 1973 წლის 1 ოქტომბრიდან შემოღებული შესწორებებითა და დამატებებით, მასში გამოყენებულია, აგრეთვე, გამოცდილი საბჭოთა არბიტრების ლ. გარკუნოვის, ი. ზრაჟევსკის, ი. კარახანის, ლ. აბრამოვისა და სხვათა შრომები.

წიგნი გათვალისწინებულია როგორც მოჭადრაკეებისა და მსაჯებისთვის, ისე შეჯიბრების ორგანიზატორებისა და ყველასთვის, ვისაც საჭადრაკო შეჯიბრებებთან აქვს საქმე".

წიგნი შედგება შემდეგი თავებისგან: შეჯიბრება, მონაწილე, მსაჯი; შეჯიბრების სისტემები; შეჯიბრების მომზადება და ჩატარება; შეჯიბრების წესები; ჭადრაკის თამაშის წესები; გუნდური შეჯიბრებები; სხვადასხვა შეჯიბრება და მათი წესები; მსაჯის დოკუმენტაცია; კლასიფიკაციის საკითხები.

ამ წიგნში ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება ჭადრაკის მიწერ-მოწერითი თამაშის საკავშირო და საერთაშორისო წესები.



# ბადმინტონისტთა დებიუტი

15 აპრილს მოსკოვიდან საზღვარგარეთ სასპარეზოდ გაემგზავრა საბჭოთა ბადმინტონისტთა ორი გუნდი. ვოლანის უძლიერესმა ოსტატებმა გეზი აიღეს მალაიზიისკენ, სადაც რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები კი კოპენჰაგენს გაემგზავრა. იგი პირველად მიიღებს მონაწილეობას ევროპის იუნიორთა პირველობაში.

— წლეულს საბჭოთა ბადმინტონისტები საერთაშორისო ფედერაციაში შევიდნენ. და აი, ახლა დებიუტი გვაქვს კონტინენტის ჩემპიონატში, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მწვრთნელმა ო. მარკოვმა. — დღეს ბადმინტონი პოპულარულია არა მარტო ქვეყნის ევროპული ნაწილის დიდ ინდუსტრიულ ცენტრებში, არამედ ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებშიც, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ბადმინტონს ჩვენში უკვე 123 ათასი ადამიანი თამაშობს. (საკდესი).

## რეკორდები

**დონაუეშინგენი** (გფრ), 15 აპრილი. „დუნაის თასზე" გამართულ ძალოსანთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ბულგარელმა ათლეტმა ნ. ნურიკიანმა (ქვემსუბუქი წონა) 127 კგ აიტაცა და 1 კილოგრამით დაამძიმა იაპონელი ხირაის მსოფლიო რეკორდი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### გულმოდგინე სამზადისი

როგორც ბუენოს-აირესიდან იუწყებიან, „რივერ პლატას" სტადიონის რეკონსტრუქციის შემდეგ აქ 55 ათასის ნაცვლად 70 ათასი მაყურებელი დაეტევა, „ველეზ სარსფილდის" სტადიონზე კი 52 ათასის ნაცვლად — 80 ათასი. მოიმატებს ადგილების რაოდენობა „როზარიოზე" და „მარ-დელ-პლატაზეც".

ახალი სტადიონები შენდება კორდობასა (52 ათასი) და მენდოზაში (60 ათასი).

### საფრანგეთში გადადის

აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდის „კარას" (ბრაზავილი) მოთამაშე, აფრიკის 1974 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი მუკილა 1975-76 წლების სეზონიდან საფრანგეთში ითამაშებს.

24 წლის მუკილას გადაბირება რამდენიმე ფრანგულ კლუბს სურს, რომელთა შორის ახლა დავა მიმდინარეობს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08727